# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 106

ქალაქი ქუთაისი 26 სექტემბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის I ჩიხის №5-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტარდის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, საწყობის შენობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 22-ე მუხლისა და 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის I ჩიხის №5-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტარდის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, საწყობის შენობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტარდის“
კუთვნილი მიწის ნაკვეთში, საწყობის შენობის შენებლობისათვის
განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
განკარგულების დედანს თან ერთვის)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია